ოქმი N7

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეოთხე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2018 წლის 31 მაისი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 37

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 37

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 26 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №67 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირებისა და გარე ვაჭრობის უფლების საფასურის დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის გერბის და დროშის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 20 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

4. „ქალაქ ხობში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 ივნისის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

5. „ხობის მუნიციპალიტეტში უმწეოთა სასადილოში ბენეფიციარების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

6. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის (უზუფრუქტის) უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

7. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

8. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე);

9. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2017 წლის 18 დეკემბრის N78 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: შ. ჭილაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისიის წევრი);

10. „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N82 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის უფროსი);

11. „ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ - მარტის შესრულების შედეგების შესახებ“ ანგარიშის მოსმენა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №67 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების

შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №67 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საფინანსო-საბიუჯეტო კომისის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხორციელდება შემდეგი სახის ცვლილება: 2018 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთიდან ხდება 225,5 ათასი ლარის ასახვა ადგილობრივ ბიუჯეტში. ასევე გადიდდა ბიუჯეტში შემოსავლები „გრანტები“-დან (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან) 110,0 ათასი ლარით და მიიმართა პრიორიტეტის - „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ მუხლის „არაფინანსური აქტივების ზრდის“ ასიგნებაზე. მცირდება ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯები 15,8 ათასი ლარით, კერძოდ: პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“ ასიგნებები. გამონთავისუფლებული და ნაშთის თანხა 241,6 ათასი ლარი მიიმართება შემდეგი ღონისძიებების დასაფინასებლად: 214,2 ათასი ლარი - პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის“ ასიგნებებზე; 27,0 ათასი ლარი - ,,წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვის ფონდი“ ასიგნებაზე; 0,4 ათასი ლარი - პრიორიტეტის „მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა“ ასიგნებაზე. „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N68 დადგენილების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა, შემოსულობების გეგმა შეადგენს 10779,9 ათას ლარს. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, სერიოზული ხასიათის შენიშვნები არ გააჩნია და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის წარმოდგენილი სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, ა. ხურცილავა, მ. ფილიპია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N22 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირებისა და გარე ვაჭრობის უფლების საფასურის დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირებისა და გარე ვაჭრობის უფლების საფასურის დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. ქარდავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ როგორც დადგენილებაშია მითითებული გარე ვაჭრობაზე კონტროლს ახორციელებენ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურები, მათი კომპეტენციის ფარგლებში და დაინტერესდა, კონკრეტულად თუ რომელი სამსახური ახორციელებდნენ კონტროლს? ასევე დაინტერესდა მაინცდამაინც ცენტრალურ ქუჩაზე რატომ აიკრძალა გარე ვაჭრობა.

მ. რუხაძე - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის წარმომადგენელი - გამომსვლელმა განმარტა, რომ გარე ვაჭრობის უფლების კონტროლს განახორციელებდა მერიის ზედამხედველობის განყოფილება. რაც შეეხება ცენტრალურ ქუჩაზე გარე ვაჭრობის აკრძალვას, მერიის შესაბამისი სამსახურების აზრით ქალაქის იერსახეს ამახინჯებდა, ამიტომაც იკრძალება ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე ვაჭრობა.

ე. ჯობავა - გამომსვლელმა იმედი გამოთქვა, რომ პირადად მერიის ზედამხედველობის განყოფილება დაეკისრება ქალაქში გარე ვაჭრობის კონტროლი და თვითონ იქნება პასუხისმგებელი გარე ვაჭრობის მოწესრიგებაზე. მისი განცხადებით უფრო უპრიანი იქნება მერიაში შეიქმნას ზედამხედველობის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს ამ

უფლებამოსილებების განხორციელებას. გამომსვლელმა განაცხადა, რომ ბიუროს სხდომაზე იყო საუბარი ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიის შესახებ, რომელის გაიჯარებულია, ბიუროს წევრების მხრიდან მოთხოვნა იყო, რომ ისევ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დაბრუნდეს და იქ პარკინგი მოეწყოს, რომელსაც თვითონაც ეთანხმება, ოღონდ ყველაფერი კანონის ფარგლებში უნდა განხორციელდეს და თან მეიჯარეც, არ უნდა დაზარალდეს.

მ. რუხაძე - განაცხადა, რომ მზადდებოდა წერილი ეკონომიკის სამინისტროში გასაგზავნად, სადაც მოთხოვნილი იქნება აღნიშნული ტერიტორიის მერიისთვის დაბრუნებაზე, სადაც დაგეგმილია პარკინგის მოწყობა. იმედი გამოთქვა, რომ აღნიშნული მოთხოვნა დადებითად იქნებოდა გადაწყვეტილი.

მ. ქარდავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ სოფლიდან მოსული გლეხი, რომელსაც მალფუჭებადი პროდუქტი ექნება გასაყიდად ჩამოტანილი, გარე ვაჭრობის უფლების მოპოვებისათვის, ჯერ განცხადებით უნდა მიმართოს ხობის მუნიციპალიტეტის მერს, მერი გადაწყვეტილებას იღებს საკრებულოს თანხმობის საფუძველზე, რის შემდეგაც გამოიცემა ბრძანება. ყველაზე მინიმუმ ამ საკითხის გადაწყვეტას ერთი კვირა დასჭირდება, გლეხს კი ამ დროში შეიძლება პროდუქციაც გაუფუჭდეს, ამიტომ მიზანშეწონილად მიაჩნია პროცედურები გამარტივდეს.

ჯ. ბერაია - გამომსვლელმა განაცხადა, რომ პროექტში ყველაფერი კანონის შესაბამისად არის გაწერილი. გარევაჭრობის უფლების მოსაპოვებლად ინფორმაცია ზედამხედველობის თანამშრომლებმა უნდა მიაწოდონ დაინტერესებულ პირებს.

მ. ქარდავა - გამომსვლელის განცხადებით, მერიისზედამხედველობის თანამშრომლები ყოველდღე ერთ ადგილზე ვერ დადგებიან და ვერ მიაწვდიან ინფორმაციას დროებით მოსულ პიროვნებას, გარე ვაჭრობისთვის ნებართვის მისაღებად თუ სად გადაიხადონ თანხა, მისი აზრით ასეთი მიდგომა არასწორია.

ვ. გაბედავა - მერის მოადგილემ განაცხადა, რომ უმჯობესი იქნება წარმოდგენილი დადგენილების პროექტი დაუბრუნდეს მერიის შესაბამის სამსახურს და საკრებულოს შესაბამისი კომისიის შენიშვნების გათვალიწინებით, ერთობლივად მიეღოთ საბოლოო გადაწყვეტილება და შეჯერებული პროექტი ამის შემდეგ წარმოედგინათ საკრებულოში.

ე. ჯობავა - გამომსვლელი დაეთანხმა მერის მოადგილეს და განაცხადა, რომ უმჯობესი იქნება პროექტი დაბრუნებულიყო მერიაში შემდგომი განხილვისთვის.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის მერიაში დაბრუნების თაობაზე, მისი დეტალურად შესწავლის მიზნით

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, ა. ხურცილავა, ა. ხუნჯუა)

დაადგინეს: დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირებისა და გარე ვაჭრობის უფლების საფასურის დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“ დაუბრუნდეს ხობის მუნიციპალიტეტის მერიას საკრებულოს შენიშვნების გათვალისწინების მიზნით.

3. „ხობის მუნიციპალიტეტის გერბის და დროშის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 20 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გერბის და დროშის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 20 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. ბერაია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

დ. ბერაია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის ერთიანი დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან და დღის წესრიგით წარმოდგენილ მე-4 და მე-5 საკითხებთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2017 წლის 26 ივლისის N1251-რს ორგანული კანონით გათვალისწინებულმა ცვლილებამ განაპირობა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებებში ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა, რაც ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს და მისდამი დაქვემდებარებული დაწესებულების სახელწოდების ცვლილებას, კერძოდ: „მერია“ - ნაცვლად „გამგეობისა“ და „მერი“ - ნაცვლად „გამგებლისა“. ზემოთ აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, წარმოდგენილ იქნა დადგენილებების პროექტები: 1. „ხობის მუნიციპალიტეტის გერბის და დროშის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის N17

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; 2. „ხობის მუნიციპალიტეტში უმწეოთა სასადილოში ბენეფიციარების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის N10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“; 3. „ქალაქ ხობში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 ივნისის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტები მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მათი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 20, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, ა. ხურცილავა, ა. ხუნჯუა, კ. გოქაძე, მ. ქარდავა, დ. გაბუნია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N23 ოქმს თან ერთვის)

4. „ქალაქ ხობში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 ივნისის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ქალაქ ხობში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 ივნისის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 20, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, ა. ხურცილავა, ა. ხუნჯუა, კ. გოქაძე, მ. ქარდავა, დ. გაბუნია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N24 ოქმს თან ერთვის)

5. „ხობის მუნიციპალიტეტში უმწეოთა სასადილოში ბენეფიციარების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტში უმწეოთა სასადილოში ბენეფიციარების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, ა. ხურცილავა, ა. ხუნჯუა, კ. გოქაძე)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N25 ოქმს თან ერთვის)

6. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის (უზუფრუქტის) უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის (უზუფრუქტის) უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ქონების მართისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტით მუნიციპალიტეტის მერია შემოდის წინადადებით მიეცეს მერს თანხმობა შპს „ხობის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგებას“ საოფისე საქმიანობისათვის სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის წესით გადაეცეს ქ. ხობში ცოტნე დადიანის ქ. N202-ში მდებარე შენობის მე-2 სართულზე არსებული ფართი 46 კვ.მ ოდენობით. გამომსვლელის განცხადებით, კომისიის მიერ განხილულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, რომელშიც მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურთან შეთანხმებით შეტანილ იქნა გარკვეული შესწორებები, კერძოდ: 1. განკარგულების სათაური ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის (უსასყიდლო უზუფრუქტის) უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“; 2. განკარგულების პრეამბულა ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4, მე-5, მე-6 პუნქტების შესაბამისად:“; 3. განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „1. მიეცეს თანხმობა ხობის მუნიციპალიტეტის მერს, ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით გადაცემაზე, თანხმად დანართისა.“; 4. გარკვეული კორექტივები იქნა შეტანილი განკარგულების დანართშიც. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ზემო აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით მიღებულ იქნეს განკარგულების პროექტი საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის წარმომადგენლებს ეთანხმებოდნენ თუ არა კომისიის მიერ წარმოდგენილ კორექტირებულ განკარგულების პროექტს?

ა. ვარდია, მ. რუხაძე - გამომსვლელებმა განაცხადეს, რომ ეთახმებოდნენ საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ წარმოდგენილ კორექტირებულ განკარგულების პროექტს.

სხდომის თავმჯდომარის წინადადებით კენჭი ეყარა კომისიის მიერ წარმოდგენილ განკარგულების პროექტის კორექტირებულ ვარიანტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, ა. ხურცილავა, ა. ხუნჯუა, კ. ლატარია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N26 ოქმს თან ერთვის)

7. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. ქარდავა - გამომსვლელი დაინტერესდა, თუ რა ქონებაზე იყო საუბარი?

მ. რუხაძე - განმარტა, რომ აქ საუბარია ხეთის, თორსა-დღვაბისა და ქვემო ქვალონის ჭითაუშკურის წყალსადენი სისტემებისთვის განკუთვნილი მილების, ვინტილების და სათაო ნაგებობების სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით, თხოვების ფორმით

გადაეცემაზე, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ შპს „ხობის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგებისთვის".

მ. ქარდავა - გამომსვლელის განცხადებით აქ დეტალურად უნდა იყოს გაშიფრული თუ რა ქონება გადაეცემა შპს-ს, კონკრეტულად თუ რამდენი გრძივი მეტრი მილი, ვინტილი დასათაო ნაგებობები იქნება გადაცემული დროებით სარგებლობაში.

ე. ჯობავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ სხდომაზე დეტალური განხილვა ვერ მოხდებოდა, დაინტერესებულ პირებს შეუძლია კომისიის სხდომაზე განიხილოს დეტალურად და საჭიროების შემთხვევაში მოიწვიონ მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ მცირეოდენი დებატების დასრულების შემდგომ სთხოვა საკრებულოს ქონების მართისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტით ხობის მუნიციპალიტეტის მერიის წინადადების საფუძველზე მუნიციპალიტეტის დამატებითი ქონება ხეთის, თორსა-დღვაბისა და ქვემო ქვალონის ჭითაუშკურის წყალსადენი სისტემები მოსახლეობის წყლით უზრუნველყოფის მიზნით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით, თხოვების ფორმით გადაეცემა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ შპს „ხობის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგებას". გამომსვლელის განცხადებით, კომისიის მიერ განხილულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, რომელშიც მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურთან შეთანხმებით შეტანილ იქნა გარკვეული შესწორებები, კერძოდ: 1. განკარგულების სათაური ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის (თხოვების) უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ"; 2. განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მიეცეს თანხმობა ხობის მუნიციპალიტეტის მერს, ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით, გადაცემაზე, თანახმად დანართისა."; 3. გარკვეული კორექტივები იქნა შეტანილი განკარგულების დანართშიც. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ზემო აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით მიღებულ იქნეს განკარგულების პროექტი საკრებულოს სხდომაზე კორექტირებული სახით.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვთ მიმართა მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის წარმომადგენლებს ეთანხმებოდნენ თუ არა კომისიის მიერ წარმოდგენილ კორექტირებულ განკარგულების პროექტს?

ა. ვარდია, მ. რუხაძე - გამომსვლელებმა განაცხადეს, რომ ეთახმებოდნენ საკრებულოს ქონების მართისა და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ წარმოდგენილ კორექტირებულ განკარგულების პროექტს.

სხდომის თავმჯდომარის წინადადებით კენჭი ეყარა კომისიის მიერ წარმოდგენილ განკარგულების პროექტის კორექტირებულ ვარიანტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, ა. ხურცილავა, ა. ხუნჯუა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N27 ოქმს თან ერთვის)

8. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ტ. ალექსანდრია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და კომისიის დასკვნა განსახილველ პროექტთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N81 განკარგულებით საკრებულოსთვის ინტერნეტის ლიმიტი გათვალისწინებულია 5 ლარის ოდენობით. ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2018–2019 წლების კონსოლიდირებული ტენდერით გათვალიწინებული მომსახურების ფარგლებში ინტერნეტის მოცულობის მკვეთრი შემცირებისა და ღირებულების გაზრდის გამო, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული საკრებულოსთვის ინტერნეტისთვის გათვალისწინებული თანხა გაიზარდოს 5 ლარის ოდენობით, საკრებულოსთვის განსაზღვრული ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტიდან, საკრებულოს აპარატის უფროსისა და საკრებულოს

აპარატის განყოფილების უფროსის ლიმიტის 10-10 ლარის ოდენობით შემცირების ხარჯზე. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულება პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, ა. ხურცილავა, ა. ხუნჯუა, კ. გოქაძე)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N28 ოქმს თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე (თ. გელანტია) იმყოფება საავადმყოფო ფურცელზე, გამომდინარე აქედან, მე-9 საკითხს წარმოადგენდა ამავე კომისიის წევრი შადიმან ჭილაია.

9. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N78 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: შ. ჭილაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისიის წევრი);

მოისმინეს: შ. ჭილაია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N78 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საკრებულოში შემოვიდა საკრებულოს წევრის მამუკა ჭოხონელიძის განცხადება საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიიდან გამოსვლის თაობაზე. კომისიის მიერ აღნიშნული განცხადების საფუძველზე მომზადდა „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების

მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N78 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის საფუძველზეც მ. ჭოხონელიძე გამოყვანილ იქნა მის მიერ მოთხოვნილი კომისიის შემადგენლობიდან. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულება პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, ა. ხურცილავა, ა. ხუნჯუა, კ. გოქაძე)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N29 ოქმს თან ერთვის)

10. „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N82 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: შ. კანკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N82 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა, განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. გაბუნია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

დ. გაბუნია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის „C" ჰეპატიტით დაავადებულთათვის საჭირო გამოკვლევის დაფინანსების" მუხლში გამოყოფილი თანხა 15000 ლარი 28 მაისის მდგომარეობით ამოწურულ იქნა. ამ ეტაპზეც არაერთი განცხადებაა შესული მერიაში „C" ჰეპატიტზე გამოკვლევის დაფინანსების თაობაზე. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით სოციალურ პროგრამაში არსებული ეკონომიიდან, კერძოდ: „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ერთჯერადი დახმარების" მუხლიდან 900 ლარი, „შშმ პირთა მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების დაფინანსების" მუხლიდან 2400 ლარი, „ახალშობილთა ოჯახებისთვის დახმარების" მუხლიდან 4100 ლარი და „უსახლკაროთა ბინის ქირის" მუხლიდან 1600 ლარი, ჯამში 9000 ლარი წარმოდგენილი პროექტით გადატანილია „C" ჰეპატიტით დაავადებულთათვის საჭირო გამოკვლევის დაფინანსების" მუხლში. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულება პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, ა. ხურცილავა, ა. ხუნჯუა, კ. გოქაძე)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N30 ოქმს თან ერთვის)

11. „ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ - მარტის შესრულების შედეგების შესახებ" ანგარიშის მოსმენა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი).

მოისმინეს: ტ. ალექსანდრია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო ანგარიში „ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ - მარტის შესრულების შედეგების შესახებ" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიამ წარმოადგინა 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ-მარტის თვის შესრულების ანგარიში, სადაც აღნიშნულია, რომ 2018 წლის იანვარ-მარტის პერიოდში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა საშემოსავლო ნაწილში 10669,9 ათასი ლარი, ხოლო საგასავლო ნაწილში 12262,3 ათასი ლარი. შემოსულობებიდან 4333,0 ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გრანტებია ინფრასტრუქტურის განვითარებისა და დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად. 2018 წლის იანვარ-მარტის თვის ბიუჯეტის შესრულების შედეგებით შემოსულობების გეგმა შესრულებულია 5.58 %-ით (წლიური გეგმა 10669.9 ათასი ლარი - შესრულება 915.3 ათასი ლარი), საგადასახადო შემოსავლები გეგმიური წლიური 5800.0 ათასი ლარიდან შემოსულია 269.1 ათასი ლარი - 5530.9 ათასი ლარით ნაკლები. გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან იანვარ-მარტის განმავლობაში მიღებულია 502,5 ათასი ლარი, აქედან დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 52,5 ათასი ლარი, გათანაბრებითი ტრანსფერი 450,0 ათასი ლარი. სხვა შემოსავლები 2018 წლის იანვარ-მარტის თვის პერიოდში, წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული 446,9 ათასი ლარიდან ბიუჯეტში შემოსულია 112,4 ათასი ლარი - 334,5 ათასი ლარით ნაკლები. მ/შორის მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის წლიური გეგმიური 110.0 ათასი ლარიდან შემოსულია 26,6 ათასი ლარი - 83,4 ათასი ლარით ნაკლები. მიწის იჯარიდან მოსაკრებელი წლიური 50,0 ათასი ლარიდან შემოსულია 18,5 ათასი ლარი 31,5 ათასი ლარით ნაკლები. სანებართვო მოსაკრებელი წლიური გეგმით 9,1 ათასი ლარიდან შემოსულია 10,9 ათასი ლარი - 1,8 ათასი ლარით მეტი. შემოსავალი ჯარიმებიდან და სანქციებიდან წლიური გეგმიური 140,0 ათასი ლარიდან შემოსულია 37,8 ათასი ლარი, მოსაკრებელი ტერიტორიის დასუფთავებისათვის წლიური გეგმიური 31,0 ათასი ლარიდან შემოსულია 1,5 ათასი ლარი, შემოსავლები მომსახურების გაწევიდან წლიური გეგმიური 36,8 ათასი ლარიდან შემოსულია 10,8 ათასი ლარი. შემოსულობები არაფინანსური აქტივების კლებიდან წლიური გეგმიური 90,0 ათასი ლარიდან შემოსულია 21,3 ათასი ლარი - სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო მიწის გაყიდვიდან. 2018 წლის წლიური ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი მიმდინარე იანვარ-მარტის

პერიოდში ათვისებულია 12,66 % (წლიური გეგმა 12262,3 ათასი ლარი ფაქტიური შესრულება 1551,9 ათასი ლარი), წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯი წლიური გეგმით გათვალისწინებული 3127,7 ათასი ლარიდან ათვისებულია 641,6 ათასი ლარი. გამომსვლელის განცხადებით, კომისიის მიერ განხილულ იქნა ბიუჯეტის სამი თვის შესრულების ანგარიში და შესრულების შედეგებს აფასებს დამაკმაყოფილებლად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

დაადგინეს: წარმოდგენილი ინფორმაცია ცნობად იქნეს მიღებული

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მეოთხე მოწვევის საკრებულოს 2018 წლის 31 მაისის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრთა სია

1. ედიშერი ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. ტარიელ ალექსანდრია
4. დავით ბერაია
5. დოდო გაბუნია
6. ვლადიმერ ქანთარია
7. თემურ გულუა
8. ბექა მამაცაშვილი
9. კახა ლატარია
10. მერაბ ფილიპია
11. ნიკოლოზ ვეკუა
12. შადიმან ჭილაია
13. დავით ცინაძე
14. კონსტანტინე ნასარაია
15. იგორ გოგოლაძე
16. ლაშა ცატავა
17. აბელი ქირია
18. გენადი ქაძანაია
19. კახა მიქაბერიძე
20. მზია ლემონჯარია
21. გოჩა სიჭინავა
22. გია წულაია
23. ავთანდილ ხუნჯუა
24. აკაკი ხურცლავა
25. გიგა ნასარაია
26. კობა გოქაძე